ადგილობრივი ეკონომიკურიგანვითარების გეგმა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

საქართველო

მარტი 2020

მერის მიმართვა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანი სტატუსის მქონე პერსპექტიული მუნიციპალიტეტია.მუნიციპალიიტეტის მთავარი გამოწვევა მიგრაციის პროცესი და დაბერებული მოსახლეობაა. სწორედ ამიტომ, ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებაა.

მუნიციპალიტეტისგეოგრაფიულიმდებარეობა, კლიმატური პირობები, ბუნებრივირესურსებისსიუხვე, ტურისტული ობიექტები,ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, რელიეფი, მრავალფეროვანი ეთნო-კულტურული ტრადიციები, სტუმართმოყვარე მოსახლეობაიძლევა საინვესტიციოპოტენციალის ზრდის განსაკუთრებულ პირობებს. აქედან გამომდინარე, ყველა არსებული რესურსის გამოყენებით ძალიხმევას არ დავიშურებ, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მიმზიდველი გახდეს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლისათვის, როგორც ინვესტიციის განხორციელებისათვის,ასევე ცხოვრებისა და დასვენებისათვის.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა დაეფუძნა ჩვენი მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს და მოთხოვნებს. ევროკავშირის აღნიშნულ ინიციატივასთან (M4EG) შეერთებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი და მზაობა, რათა გავიზიაროთ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების გამოცდილება. ვიმედოვნებ, აღნიშნული თანამშრომლობა ჩვენთვის ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების გარანტი და წარმატების მომტანი იქნება.

გამოვთქვამ მზადყოფნას პირადად ჩავერთოადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელების პროცესში, რათა ხელი შეეწყოს დაგეგმილი ღონისძიებების ჯეროვან და ეფექტურ განხორციელებას.

პატივისცემით,

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი
ზვიად მხეიძე

დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:

საკონტაქტო პირი: ქალბატონი თეა ბენდელიანი

თანამდებობა: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელი

მისამართი: ქ.ამბროლაური, 0400 ბრატისლავა-რაჭის ქ.N11.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

ტელეფონი: +995 551 123 398

ელ-ფოსტა: tbendeliani74@gmail.com

ვებ-ბგვერდი: www.ambrolauri.gov.ge

1. შემაჯამებელი შინაარსი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ფარგლებში შექმნილ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმას, რომელიც შემუშავებულია ადგილობრივი საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების თანაბარი ჩართულობით. გეგმის ფარგლებში გამოვლენილი იქნაუმთავრესიეკონომიკური მიმართულებები, რომლებიც ეფუძნებასაუკეთესოევროპულპრაქტიკასა დამიდგომებს, მიმართული კერძო სექტორის ზრდისაკენ, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეეწყოს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასა და დასაქმებას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი 12 ათასი ადამიანის სამშობლოა, რომელთა საშუალო ასაკი მაღალია ვიდრე ქვეყანაში. მისი ეკონომიკა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზეა ორიენტირებული და დაშორებულია გასაღების ბაზრებთან. მუნიციპალიტეტში არსებული მევენახეობის მიკრო-ზონებში წარმოებული ღვინოები ფართოდ არის ცნობილი საქართველოს გარეთ.მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვთ.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებებისადმი სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღებისა და დამატებითი მხარდამჭერი პროგრამების პირობებში, მუნიციპალიტეტმა ეკონომიკური განვითარების ხედვა ჩამოაყალიბა მისი ძლიერი მხარეების და შეაძლებლობების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი უნიკალური ტრადიციული მეღვინეობით განთქმული ევროპული სტილის მუნიციპალიტეტად გარდაქმნას. ამ ხედვის რეალობად გადასაქცევად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, ადგილობრივი ბიზნეს და სამოქალაქო საზოგადოებამ შემდეგი მიზნები დაისახეს: ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა; სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშული მიზნის მისაღწევად, მუნიციპალიტეტი შემდეგი 2 წლის განმავლობაში აპირებს ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებას: ადგილობრივ პროდუქციაზე წვდომის უზრუნველყოფა; ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრის პოზიციის შექმნა; ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქტის წარმოება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ ინფორმაციის გავრცელება; ტურისტული მარშრუტის მომზადება; საინფორმაციო ტურების ჩატარება; ტრენინგების ჩატარება ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში გაწერილი ქმედებების საორიენტაციო ბიუჯეტია 351 506 ლარი (102000 ევრო). სამოქმედო გეგმის ქმედებებისთვის 229000 ლარი (66470 ევრო) დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. გეგმის ბიუჯეტის 48% პირველი მიზნის მიღწევაზე დაიხარჯება, ხოლო 39% - ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე.

2. სარჩევი

მერის მიმართვა ..... - 1 -
1. შემაჯამებელი შინაარსი ..... - 3 -
2. სარჩევი ..... - 4 -
3. ცხრილები, დიაგრამები და შემოკლებები ..... - 4 -
4. გეგმისშესავალი ..... - 5 -
5. ადგილობრივიეკონომიკურიგანვითარებისგეგმისშემუშავებისპროცესი ..... - 6 -
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი ..... - 6 -
7. SWOT ანალიზი ..... - 17 -
8. ხედვა და მიზნები ..... - 19 -
9. სამოქმედო გეგმა 20
10. დაფინანსების სქემა 22
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 23

დანართები:
დანართი ა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი;
დანართი ბ. შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია
დანართი გ. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და საჭიროებების შესახებ

3. ცხრილები, დიაგრამები და შემოკლებები

3.1. ცხრილები

ცხრილი 1. SWOT ანალიზი
ცხრილი 2. სამოქმედო გეგმა
ცხრილი 3. დაფინანსების სქემა
ცხრილი 4. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

3.2.შემოკლებები

M4EG -მერები ეკონომიკური ზრდისთვის
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
ა(ა)იპ -არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულიპირი
სსიპ -საჯარო სამართლის იურიდიული პირი
SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი
შშმ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
NAT - ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე
E-document - ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა
მმს - მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა

4. გეგმისშესავალი

2019 წლის 14 მაისს,ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მერის ხელმოწერით შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის".რითაც შეიქმნა წინაპირობა M4EG ინიციატივის ფარგლებში ხელი შეეწყოს ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების, კერძო და სამოქალაქო სექტორის პარტნიორობას; რათა ეკონომიკური განვითარების კუთხით მათი საქმიანობა აქცენტირებული იყოს ზრდაზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე, ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორულ ურთიერთობებზე, ადგილობრივი ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ ზრდა-განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი დოკუმენტი აქამდე არ შემუშავებულა მუნიციპალიტეტში. იგი არ არის ყოვლისმომცველი და ვერ ჩაანაცვლებს სხვა გეგმებს, რომელიც არსებობს მუნიციპალიტეტში. წინამდებარე გეგმა შესაბამისობაში მოდის ქვეყნის განვითარების ოთხპუნქტიანგეგმასთან, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-თან, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიასთან, 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამასთან.

წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული აქტივობების უდიდესი ნაწილი დაფინანსებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ და ეს დაფინანსება გათვალისწინებული იქნება 2020-2021 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი ნაწილის დაფინანსების სავარაუდო წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები და კერძო სექტორი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე და განეკუთვნება მაღალმთიან ზონას. ჩრდილო–აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ონის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო–დასავლეთიდან ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტები, სამხრეთ–დასავლეთიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), სამხრეთიდან–ტყიბულის მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), ხოლო სამხრეთ–აღმოსავლეთიდან – ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტები (იმერეთის რეგიონი).

მანძილი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრამდე 79 კმ-ია, უახლოეს სარკინიგზო სადგურამდე (ქ. ტყიბული) 39 კმ, უახლოეს სარკინიგზო კვანძამდე (ქ. ქუთაისი) 72 კმ, უახლოეს პორტამდე (ქ. ფოთი) 170 კმ, ქ. თბილისამდე 280 კმ. მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობი 1142 კვ.კმ–ია, რომელიც მოიცავს 1 ქალაქსა და 69 სოფელს, სადაც13.5 ათასი ადამიანია რეგისტრირებული, აქედან 10.6 ათასი მუდმივი მაცხოვრებელია.მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ბოლო ათი წლის განმავლობაში 9.4 %-ით არის შემცირებული, თუმცა ბოლო 2 წელია მოსახლეობის რაოდენობა შედარებითდასტაბილურდა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80,5% სოფლად ცხოვრობს (რუკა, ცხრილი N1 და დიაგრამა#1 იხილეთ დანართ „დ"-ში).

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მოქმედებს ბიზნესის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი სხვადასხვა პროგრამები (,,აწარმოე საქართველოში", ,,დანერგე მომავალი", IFAD, FAO და სხვ.), რომელებმაც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტში საწარმოთა რაოდენობის ზრდას და ბიზნესის განვითარებას. ასევე, ინფრასტრუქტურის კუთხით, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამშენებლო, თუ განახლებადი სამუშაოები (ამბულატორიები, სასწავლო დაწესებულებები, სკვერები, გზები და სხვ).

5. ადგილობრივიეკონომიკურიგანვითარებისგეგმისშემუშავებისპროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა ინიციატივის ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მეთოდოლოგიის შესაბამისად. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით,LED გეგმის მოსამზადებლად, შეიქმნა 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი და 12 კაციანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა, რომელიც კერძო სექტორის (1 წარმომადგენელი), სამოქალაქო საზოგადოებისა (1 წარმომადგენელი) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან (10 ადამიანი) დაკომპლექტდა. აქედან 5 ქალია, 7 მამაკაცი.სამუშო ჯგუფში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერთან ერთად შედიოდა სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს წრების და მუნიციპალიტეტის თითო-თითო წარმომადგენელი.

გეგმის შემუშავების პროცესში გაკეთდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისა და ქვესექტორის ანალიზი. გამოკითხვების ორგანიზების დროს გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი. მუნიციპალიტეტის საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებთან გეგმის შემუშავების პროცესში ხდებოდა M4EG ინიციატივისა და კონცეფციის, გეგმის სხვადასხვა ნიწილების გაცნობა. საქმიანი წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან მიმდინარეობდა დისკუსები მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების, ხედვისა და მიზნების, მათ მისაღწევად საჭირო აქტივობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მუშაობის პროცესში ბიზნეს სექტორის ნაწილის წარმომადგენლები ნიჰილისტურ პოზიციას იკავებდნენ, ნაწილი კი აქტიურად გვეთანამშრომლებოდა(ოქმები და დასწრების ფურცლები იხილეთ დანართი ,,ბ" და დანართი ,,გ"-ში).გეგმის შემუშავების პროცესს თავისი კვალი დაამჩნია კორონა ვირუსის გავრცელებამ.კონსულტაციებისა და სამუშაო პროცესის ბოლო ნაწილი მიმდინარეობდა ონლაინ.დისტანციური მუშაობით სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ ჯგუფებთან (მეწარმეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ახალგაზრდები, განათლების სფეროს წარმომადგენლები, შშმ პირები, სპორტსმენები და სხვ.)

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი: მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის (მეცხოველეობა, მევენახეობა), მრეწველობის (ენერგეტიკა, გადამამუშავებელი), მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. ამათგან სტარატეგიული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობას გააჩნია, ტრადიციულად მევენახეობის და მეცხოველეობის, ნაწილობრივ კი მემარცვლეობის და მეფუტკრეობის დარგებით. მაღალხარისხოვანი საწარმოო ვაზის ჯიშებია ადგილობრივი აბორიგენური ,,ალექსანდროული" და ,,მუჯურეთული", ისინი ბუნებრივად იძლევიან ორიგინალურ, ნახევრად ტკბილ, საქვეყნოდ ცნობილ ,,ხვანჭკარას", რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მეღვინეობის სახეა და სწორედ ამბროლაურის მუნიციპალიტეტშია გავრცელებული. ეს ჯიშები შეტანილია საქართველოს უძვირფასესი ვაზის ჯიშების სტანდარტულ ასორტიმენტში. შესაბამისად, ამბროლაური,

თავისი „ხვანჭკარის“ უნიკალური მიკროზონით ქართული მეღვინეობის ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს ბაზას წარმოადგენს.

საყურადღებოა კაკლოვანი კულტურების მოუსავლიანობაც, რაჭული კაკალი (ნიგოზი) საკმაოდ პოპულარული და ცნობადია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ ამორტიზებული და მოუვლელი ნარგაობების გამო მოსავლიანობა მინიმუმამდეა დასული, კოოპერატივი „ველიშიორი“, პროექტი „დანერგე მომავლის“ ფარგლებში აწარმოებს კაკლის ხეების გაშენებას, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სოფლად კაკლოვანი კულტურის განვითარებას.

სოფლის მეურნეობაში გასატარებელი ღონისძიებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინოვაციური გამოწვევა იქნება თუ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოეწყობა ერთწლოვანი საშემოდგომო კულტურების ჯიშთა გამოყვანის და სასელექციო მიმართულებით, საცდელ - სადემონსტრაციო ნაკვეთი.

მუნიციპალიტეტში მეცხოველეობა ძირითადად წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით და შესაბამისად მეცხოველეობას აქვს ხორცისა და რძის წარმოების მიმართულება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამზადებული ხორცისა და რძის პროდუქტი არის ეკოლოგიურად სუფთა, გემრიელი და ჯანსაღი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა დაბალი პროდუქტიულობის, სასელექციო მუშაობის არ არსებობის და არადამაკმაყოფილებელი ვეტერინარული მომსახურეობის გამო მეცხოველეობის დარგი სადღეისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობა არსებობს მესაქონლეობის განვითარებისათვის, ამ პოტენციალის სრულად ათვისება ვერ ხერხდება.

რაჭული ლორი ერთგვარი სავიზიტო ბარათია ქართული სუფრის. აქედან გამომდინარე ღორის მოვლა-მოშენება (მეღორეობა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობისათვის ერთ-ერთი ტრადიციული მიმართულება იყო და რჩება დღესაც. მუნიციპალიტეტში 2017 წლიდან ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი შპს „რაჭული ლორი“, რომელიც აწარმოებს რაჭული ლორის გამოყვანას. ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში ყველაზე მაღალი ხარისხის თაფლს სვანეთსა და რაჭაში იღებდნენ, რაც ნექტროვანი ხე-მცენარეების სიუხვით და მრავალგვაროვნებით იყო განპირობებული. დაახლოებით 534 მეფუტკრე ფერმერი ფლობს 2946 ფუტკრის ოჯახს. მეფუტკრე ფერმერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კოოპერატივი „რაჭის ნატურალური პროდუქტები“, რომელიც აწარმეობს თაფლს, ფუტკრის რძეს, ყვავილის მტვერს და ჭეოს.

მუნიციპალიტეტში მებაღეობა გადაბერებული ნარგავების და ხილის დაბალი ფასის გამო სუსტადაა განვითარებული და ძირითადად გვხვდება მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში. აღნიშნული დარგის განვითარებას აქვს პერსპექტივა, თუ მოზიდული იქნება სათანადო ინვესტიციები გადამამუშავებელი ქარხნის ასაშენებლად. თავისი გემური თვისებებიდან გამომდინარე აქ მოწეული ხილი ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთაა.

სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას აფერხებს რიგი პრობლემები და გამოწვევები, რომელთა დროული მოგვარება ხელს შეუწყობდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კერძოდ, არ არის სრულად ათვისებული „ხვანჭკარის“ მიკროზონაში არსებული მიწის რესურსები, ვენახების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია და საჭიროებს განაშენიანება- განახლებას. გასული საუკუნიდან გამომდინარე, როდესაც ყურადღება ექცეოდა ყურძნის ფერს და არა ჯიშს, საკმაოდ ბევრი დაბალხარისხიანი ვაზია გაშენებული მიკროზონის ტერიტორიაზე, არ არსებობს მისი პროცესისგან გამოთიშვის

სრულყოფილი მექანიზმი, შედეგად უარესდება წარმოებული ღვინის ხარისხი. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

სრულყოფას მოითხოვს ვაზის მოვლა–პატრონობის მიზნით ჩატარებული აგრო-ტექნიკური ღონისძიებები. დასანერგია უცხოური გამოცდილებები და მიღწევები, ამ მიზნით ჩასატარებელია ფართო მასშტაბიანი და სისტემატური ახსნა-განმარტებითი სამუშაოები.

ტურიზმის შემდეგ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი პოტენციალი ჰიდრო-ენერგო რესურსებს აქვს. მდიდარი ჰიდროლოგიური რესურსები საშუალებას იძლევა მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობისათვის. ძირითადი არტერიაა მდ. რიონი, რომლის შენაკადებია კრიხულა, ზნაკურა, შარეულა, ლუხუნი, რიცეულა და ასკი, რომლებზედაც სხვადასხვა სიმძლავრის ჰესების მშენებლობაა დასაშვები და გამართლებულია, როგორც ეკონომიკურად ისე ეკოლოგიურად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუშაობს მხოლოდ ერთი 6,1 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგური - რიცეულა ჰესი. ჰიდრო-ენერგო რესურსების სრული ათვისება, მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ენერგო დამოუკიდებლობის მხრივ. ჰიდრო-ენერგო რესურსების ოპტიმალურად ათვისების მიზნით გასააქტიურებელია სამუშაოები ინვესტორთა მოზიდვისათვის.

მუნიციპალიტეტის მრეწველობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გადამამუშავებელ მრეწველობას, რომლებიც ძირითადად ხილის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებითაა წარმოდგენილი. მიუხედავად ხილის გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების დიდი პოტენციალისა, მუნიციპალიტეტი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი გადამამუშავებელი ქარხნით - შპს „გეოფლაუერით". 2019 წლის განმავლობაში შპს „გეოფლაუერის" მიერ წარმოებული იქნა ვაშლის და მსხლის ჩირი, ძირტკბილა, ასკილი, ფორთოხლის ცედრა, ლიმონის ცედრა, მანდარინის ცედრა, გრეიფრუტის ცედრა, ქლიავის ჩირი, ქაცვის ნაყოფი, ველური მოცვის ნაყოფი, რომლებიც გამოშრობის შემდეგ გადაიგზავნა გერმანიაში, „მარტინ ბაუერის" ფირმაში.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 ღვინის ქარხანა: შ.პ.ს „ქართული ღვინის სახლი რაჭაში", შპს „როიალ ხვანჭკარა", შპს ,,ალექსანდრეული", შპს ,,ხვანჭკარა" და 13 მარანი. 2018 წელში რეალიზებულია 1497 ტონა ენდემური ჯიშის ყურძენი - მუჯურეთული, ალექსანდრეული, რაჭული თეთრა - 12 ტონა და სხვადასხვა ჯიშის ნარევი წითელი ყურძენი - 26 ტონა.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში"-ს ფარგლებში მიღებული დაფინანსებით განხორციელდა ამბროლაურში, „ქვაბტკრის" მიმდებარე ტერიტორიაზე მტკნარი წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობა.

მუნიციპალიტეტს ტურიზმის სფეროში მუშაობის ნაკლები ტრადიცია და გამოცდილება აქვს, მაგრამ თავისი ბუნებრივი პირობების გამო, ამ დარგის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაბამის დონეზე განვითარების გზით, შესაძლებელია ტურისტების სოლიდური რაოდენობის მოზიდვა და ადგილობრივი მოსახლეობის მასიური დასაქმება მომსახურების სფეროში.

სხვა ტურისტულ ობიექტებთან შედარებით, ყველაზე დიდი პოტენციალი შაორის წყალსაცავს გააჩნია. შაორის წყალსაცავის გარშემო გზის, ბუნებრივი აირის, ელექტრო მომარაგების და წყლის კომუნიკაციების მოწყობის შემთხვევაში მნიშვნელოვანწილად გაიზრდება ინვესტორების ინტერესი, შესაბამისად ინვესტიციების მოცულობები. შაორის წყალსაცავის ირგვლივ მოსახერხებელია ველო-ბილიკების და საცხენოსნო ტურების მოწყობა. გარდა ამისა, შაორის ტბაზე შესაძლებელია მეთევზეობის ტურიზმის განვითარება. ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების: ნიკორწმინდა, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ფარგლებში სხვადასხვა დისციპლინის ექსპერტების მიერ გამოიკვეთა სამი ძირითადი ტურისტული კლასტერის განვითარების პერსპექტივა:

1) სამთო-სათხილამურო-სათავგადასავლო ტურიზმი, რომელიც ტერიტორიულად კონცენტრირებული იქნება ჭუთხაროსა და სამერცხლეს მთების ირგვლივ;

2) შაორის ტბის ტურისტულ-რეკრეაციული კლასტერი, რომელიც მოიცავს შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიას (წლის ოთხივე დროს მიმზიდველი ტურისტული ღირსშესანიშნაობა).

3) ხვანჭკარის ზონა ღვინისა და კულტურული ტურიზმის კლასტერი, მოიცავს ხვანჭკარის ზონის სოფლებს და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ობიექტების განლაგების არეალს და ასევე გულისხმობს სასოფლო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას.

სამივე ეს კლასტერი და შესაბამისი ტერიტორიები გამოირჩევა განსაკუთრებით საინტერესო პროდუქტით, თვითმყოფადობითა და ხელუხლებელი გარემოთი. თავისი ბუნებით ასახავს რაჭა-ლეჩხუმი-ცაგერისა და ქვემო სვანეთის სპეციფიკურ მიმზიდველობას და ხაზს უსვამს ამ მხარის უნიკალურობას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არსებული ისტორიული და ბუნებრივი ძეგლები და (მათ შორის არქიტექტურული ღირებულების 103 ძეგლი) სხვა სიძველეები დიდ ტურისტულ პოტენციალს ქმნიან. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში უკვე არის ოთხი ტურისტული ბილიკი: სადმელი-რიცეულას ტურისტული ბილიკი, ნიკორწმინდა-ჭელიშის ტურისტული მარშრუტი, ხოტევი-სხარტალის და ზემო კრიხი-სხვავას ტურისტული ბილიკი.

შესანიშნავი ბუნება და გარემო პირობები, იქ გავრცელებული მელიის, მგლის, დათვის, არჩვის პოპულაციები დაცული ტერიტორიების შექმნის შესაძლებლობას გვაძლევს შარეულას, ასკის, რიცეულა და ლუხუნის ხეობებში, ხიხა მთის, თარიგონის და სხვა ალპურ მიმართულებებზე. უნიკალური ფლორისა და ფაუნის კონსერვაცია, მნიშვნელოვნად გარზდის რეგიონში ვიზიტორთა რაოდენობას, ხელს შეუწყობს სამონადირეო, საცხენოსნო და სხვა ექსტრემალური სახის ტურიზმის განვითარებას. წინასწარი შეფასებებით სათხილამურო დაზვერვის, რელიეფის შეფასების, თოვლის საფარისა და მიწვდომადობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მდ. რიცეულას ხეობაში, ჭუთხაროს მთის მასივის სამხრეთ კალთებზე ჩამოყალიბდეს წარმატებული სამთო-სათხილამურო კლასტერი.

ტურისტული სეზონი აქ ზაფხულის პერიოდში იწყება და 3 თვეს მოიცავს. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი 8 სასტუმრო და 64 საოჯახო ტიპის სასტუმრო. ფართოვდება საოჯახო სასტუმროების ქსელი, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან ის საყოფაცხოვრებო პირობები,

რომლითაც მეტნაკლებად დააკმაყოფილებენ ტურისტების მოთხოვნებს. ქ.ამბროლაურში ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.

ამბროლაურში კვებისა და სავაჭრო ობიექტები ძირითადად წარმოდგენილია ინდივიდუალური საწარმოების სახით. მოსაწესრიგებელია სწრაფი კვების ობიექტები. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 5 თანამედროვე ტიპის რესტორანი, 8 მუდმივი კვების ობიექტი. აღნიშნული ობიექტები არასათანადოთაა აღჭურვილი და სრული დატვირთვით ზაფხულის პერიოდში მუშაობენ (ეკონომიკური საქმიანობის ტიპების მიხედვით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა და დასაქმებულთა განაწილება სფეროების მიხედვით იხილეთ დანართი ,,დ"-ში-ცხრილი N2, დიაგრამა #2).

2017 წელს ქ.ამბროლაურში დამთავრდა აეროპორტის მშენებლობა. პროექტის საინვესტიციო ღირებულებამ 10 მლნ. ლარს გადააჭარბა. 2019 წელს ამბროლაურის აეროპორტი 1866 მგზავრს მოემსახურა, რაც 19 %-ით მეტია 2018 წელთან შედარებით. მუნიციპალიტეტში აეროპორტის არსებობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარების და წინსვლის წინაპირობა იქნება.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები: სისტემური ხასიათის თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორებს შორის ადგილობრივ დონეზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განვითარებას საჭიროებს. არ არსებობს არც ერთი რეგისტრირებული ბიზნეს ასოციაცია, რომელიც ერთი ან რამდენიმე მიმართულების ბიზნეს სუბიექტებს გააერთიანებდა და მათ თანამშრომლობას და საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდიდა. მეწარმეები პირადი ნაცნობობის დონეზე ამყარებენ ინდივიდუალურ ბიზნეს კავშირებს, სადაც ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას თუ გამოცდილებას. მუნიციპალიტეტში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი ან რაიმე პლატფორმა ჩამოყალიბებული არ არის.

სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული სახის სტრუქტურირებული თანამშრომლობის გამოცდილება, რაც, ერთის მხრივ გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობით, რომელთა განვითარებას, ფინანსურ გაძლიერებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის წახალისებას აქტიურად უწყობენ ხელს მთელი რიგი სახელმწიფო ინიციატივები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, ხოლო მეორეს მხრივ არსებობს აგრო სექტორის მხრიდან დანახული საჭიროება და სურვილი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე რაიმე ფორმით გაერთიანების. სწორედ ამ მიზნით შექმნილია ,,რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია", რომელიც უზრუნველყოფს აგროტურისტული ფესტივალების ჩატარებას, ტრენინგების გამართვას, რეგიონში არსებული აგროტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანების ინფორმირებას სიახლეებსა და ინოვაციებზე, აგროტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანების მხარდაჭერას სხვა ორგანიზაციის მიერ გამართულ ფესტივალში მონაწილეობის კუთხით, ამყარებს კონტაქტს უცხოურ და ადგილობრივ აგრო ფერმერთა საინიციატივო ჯგუფებთან, ამზადებს და რეალიზაციას უკეთებს აგროტურისტულ პროგრამებს და პროექტებს და ა.შ. ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ფერმერებთან.

სოფლის მეურნეობის დარგში არსებობს მცირე კოოპერატივები გაერთიანებების სახით, რომელთა ნაწილის თანამშრომლობა პასიურ ხასიათს ატარებს. ფერმერები ვერ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და მათი მონაწილეობა გაერთიანებაში უმეტესად

ფორმალურია. თუმცა ნაწილი კოოპერატივებისა, მაგალითად კოოპერატივი ,,რაჭის ნატურალური პროდუქტების“ მუშაობა, რომელიც 534 მეფუტკრე ფერმერს აერთიანებს აქტიური და ინტენსიურია. ასევე კოოპერატივი ,,ველიშიორი“, რომელიც აერთიანებს 5 მეპაიეს. საჭირო და აუცილებელია ფიქრი სექტორებს შორის რაიმე სახის თანამშრომლობის პლატფორმის ჩამოყალიბებაზე. ეს შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის ბიზნეს საკონსულტაციო საბჭო, ან ბიზნეს ასოციაცია, ანდა მოიძებნოს თანამშრომლობის სრულიად სხვა ფორმა. მთავარია შეიქმნას თანამშრომლობის შესაძლებლობა ერთის მხრივ საჯარო და კერძო სექტორებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებს შორის საერთო საჭიროებებზე სამსჯელოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წამომადგენლების ჩართულობით მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თანამშრომლობის კუთხით. მუნიციპალიტეტის ხელისუფლება გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას ბიზნეს და სამოქალაქო სექტორებთან სათანამშრომლოდ. ასევე, ადგილობრივი ხელისუფლება მუდმივი ძიების პროცესშია, რათა მოძიებულ იქნას გარკვეული მეგობრულ-პარტნიორული ფორმები, რომლის მეშვეობითაც მოხდება სხვადასხვა ბარიერების მოხსნა ხელისუფლებასა და კერძო სექტორებს შორის, რაც მნიშვნელოვნად დადებითად აისახება, როგორც კერძო სექტორის ზრდაზე ასევე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე. ეს თავი დაწერილია გეგმის შემუშავებაში ჩართული მხარეების შეფასების გათვალისწინებით (იხ.დანართი ,,დ“ ადგილობრივი პარტნიორობის შეფასება - ცხრილი N3).

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია:მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება ,,ერთი ფანჯრის“ პრინციპით. ფოსტით, თუ ხელზე შეტანილი დოკუმენტი რეგისტრირდება მერიის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, შემცირებულია დოკუმენტბრუნვის დრო. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით - e-document-ით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანიზაციას და სხვა საჯარო დაწესებულებებს. მუნიციპალიტეტის მერიაში არის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არსებულ ვადაში გასცემს საჯარო ინფორმაციას. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი, თუმცა არსებული პერიოდისათვის იგი არ არის სრულად დატვირთული და ამუშავებული. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დაქვემდებარებაში არის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, რომელიც სოციალური ქსელის მეშვეობით აქტიურად აშუქებს ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს. მერია სამომავლოდ გეგმავს უფრო მარტივი გახადოს სერვისების მიღება. ამ მიზნით ის აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან. 2016 წლიდან მერიაში დაინერგა მუნიციპალიტეტის მართვის სისტემა (მმს) და დღემდე გრძელდება მასში მომსახურების სერვისების დამატება. მმს-ის საშუალებით გამარტივდა და დაჩქარდა მშენებლობის ნებართვების გაცემა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსთან დაკავშირებული, სოციალური, ჯანდაცვის, ქონების მართვის სერვისების მიღება. დაინერგა ზემოაღნიშნული სერვისების ონლაინ გაცემის სისტემა, მოქალაქეს შეუძლია გააკეთოს განაცხადი www.my.gov.ge-დანაც და მიიღოს შესაბამისი მომსახურება. მუნიციპალიტეტი მუდმივ რეჟიმში ცდილობს გააუმჯობესოს და ხელმისაწვდომი გახადოს საკუთარი სერვისების გაცემა როგორც მოქალაქეებისათვის,

ასევე ბიზნეს სექტორისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესისთვის კომფორტული, ხელსაყრელი და გამჭვირვალე გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის უმთავრესი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ურთიერთობს ბიზნეს სექტორთან და ცდილობს მათთან მჭიდრო კომუნიკაციას და თანამშრომლობას, რაც კერძო სექტორის წარმომადგენლებისა და მოქალაქეების მხრიდანაც აღინიშნება. სამსახური მათი მომართვის შემთხვევაში გასცემს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ ბიზნესის განვითარების პროგრამებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს სექტორის მხრიდან არის დაბალი ინტერესი საჯარო სექტორთან თანამშრომლობაზე, რაც ალბათ გამოწვეულია თანამშრომლობის არასისტემური და არა ინსტიტუციონალური ხასიათით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუნიციპალიტეტის მერია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის განვითარებას სხვადასხვა საქმიანობების განხორციელებით. თუმცა, ამჟამად აღნიშნული ქმედებები ძირითადად სპონტანურ ხასიათს ატარებს. მუნიციპალიტეტში განიხილება მიდგომა შემუშავდეს ბიზნეს ხელშემწყობი სხვადასხვა პროგრამები. აგრეთვე, შეირჩეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმები, გაუმჯობესდეს მათთან კომუნიკაცია და ასევე მოხდეს მათი უკეთ ინფორმირებულობა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან სისტემაში, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა და მოძიება. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება ატვირთულია აღნიშნულ სისტემაში. 2016 წლიდან მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცხადდება NAT ტენდერები, რაც უზრუნველყოფს შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღ კონკურენციას, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციულ და თანასწორ მიდგომას.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის N11 დადგენილების საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, ასევე ქვეყნდება ინფორმაცია ადგილობრივ გაზეთში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში ყველა წინაპირობაა შექმნილი მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით. მორიგი და რიგგარეშე სხდომებიც არის საჯარო და ყველა მსურველს შეუძლია დასწრება რეგლამენტის გათვალისწინებით. ასევე, წინასწარ არის დაანონსებული სხდომები საკრებულოს facebook გვერდის მიერ. თუმცა ბოლო წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ სამოქალაქო და განსაკუთრებით კერძო სექტორის მიმართვიანობა და ინტერესი - წარმომადგენლობით ორგანოსთან თანამშრომლობის მიმართ მინიმალურია.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს პერიოდული გაზეთი - ,,ამბროლაურის მოამბე", რომელიც აქტიურად აშუქებს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობას. სულ ახლახანს ამოქმედდა რადიო ,,ამბროლაურის ხმა", რომელიც პერმამენტულად აშუქებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, სპორტულ და სხვა სახის მოვლენებს. არ არსებობს დამოუკიდებელი მედია საშუალებები, რომლის არსებობაც

გარკვეულწილად ხელს შეუწყობდა სამოქალაქო ჩართულობას და ადმინისტრაციის საქმიანობის მეტ გამჭვირვალობას.
ინფორმაცია ზრდის სექტორების (ქვე-სექტორების) და მათთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ იხილეთ დანართ ,,დ"-ში ცხრილი N4.
6.4. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა: ამბროლაურის მუნიციპალიტეტს შეზღუდული ფინანსური რესურსები და გამოცდილება აქვს იმისათვის, რომ განახორიელოს ინოვაციური ქმედებები და მიდგომები ბიზნესის განვითარების სტიმულირებისათვის, რაც უზრუნველყოფდა ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას. მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორი სახელმწიფო საფინანსო პროგრამების (მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში", სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი პროგრამები) შესახებ ნაკლებად არის ინფორმირებული ვიდრე საბანკო სექტორის შესახებ. სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მათ განსახორციელებელ პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირება არ არის საკმარისი. იმის გამო, რომ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის ზოგიერთი პროცედურა ბიუროკრატიულია და ხშირ შემთხვევაში დროში იწელება, კერძო სექტორი არჩევს საკუთარი შეზღუდული რესურსებით განახორციელოს დაწყებული საქმე. მუნიციპალიტეტში არსებული საფინანსო ინსტიტუტების სიმრავლიდან გამომდინარე ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაცია არ არის მწირი და დაინტერესების შემთხვევაში ადვილად შესაძლებელია ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება. მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი 5 კომერციული ბანკის ფილიალი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია განთავსებულია ქ.ამბროლაურში და ბიზნეს სესხით დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა პროდუქტებს სთავაზობს. ისინი გასცემენ სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისათვის 1000 ლარიდან (294 ევრო) ზემოთ (ყველა ბანკში სხვადასხვანაირად). დიდი თანხების მოთხოვნა სათავო ოფისებში განიხილება. ბანკებში სესხები გაიცემა როგორც ძირითადი საშუალებების შესაძენად, ასევე საოპერაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებებისთვის. სამეწარმეო საქმიანობას და ბიზნესს მძიმე ტვირთად აწვება სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი.
ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მთავარ პრობლემად მაინც მეწარმეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტებისა და დახმარებების შესახებ ინფორმაციის სიმცირე (იხ.დანართი ,,დ" ცხრილი N5) და საბანკო - საფინანსო ინსტიტუტების მაღალი საპროცენტო განაკვეთია.
მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორი საჭიროებს პლატფორმას სადაც, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს ექნებათ საშუალება, მიიღონ დეტალური ინფორმაცია ფინანსური სახსრების მოძიების და ხელმისაწვდომობის შესახებ.
6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა:ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. მერიის ეკონომიკის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია 1628 ჰა არასასოფლო დანიშნულების მიწა, 108 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომელთაგან 92% დატვირთულია სხვადასხვა საჯარო დაწესებულებით. ხდება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია, ასევე საოფისე ფართების იჯარით

გაცემა. ამ ეტაპზე სულ გაცემულია სარგებლობის უფლებით 61 ობიექტი, საიდანაც 11 სასყიდლიანი ფორმითაა (იჯარა). მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების ნაწილი არის სახელმწიფოს საკუთრებაში, რომლებიც დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გადმოდის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, თუმცა პროცესი არცთუ ისე მარტივია და ხშირად დროში იწელება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 15 946 ჰა. აქედან, კერძო საკუთრებას შეადგენს 4879 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა - 11 067, დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: სათიბი - 2199 ჰა, საძოვარი - 10949 ჰა, სახნავი - 1141 და მრავალწლიანი კულტურები - 1647 ჰა (იხილეთ დანართი ,,დ" ცხრილი N6).

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მიწების გარკვეული რეზერვი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი ფერმერული მეურნეობების განვითარების შემთხვევაში, რაც საბოლოო ჯამში ბიუჯეტში მოიზიდავს დამატებით სახსრებს (იხილეთ დანართი ,,დ" დიაგრამა #3). მუნიციპალიტეტი მცირე მიწიანია და არსებული სასოფლო-სამეურნეო სანიშნულების მიწები დაბალმოსავლიანია ზოგიერთი კულტურისათვის. აგროსექტორის განვიტარება, მიწების რაციონალურად გამოყენებისათვის და კულტურების სწორად შესარჩევად მნიშვნელოვანია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. ინფორმაცია კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში იხ.დანართი ,,დ" ცხრილი N7-ში.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს ბიზნეს-ინკუბატორი, ბიზნეს-ინდუსტრიული პარკი და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი, რომლებიც დაეხმარებიან დაინტერესებულ პირებს ინოვაციური ბიზნესების დაწყებასა და განვითარებაში. თუმცა მუნიციპალიტეტი დაინტერესებულია შეიქმნას ბიზნესის ხემშემწყობი ინფრასტრუქტურა.

აქვე უნდა აღინიშნოს, მუნიციპალიტეტის მზაობა კომუნიკაციებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის შეძლებისდაგვარად მოწყობის თვალსაზრისით, რაც კერძო სექტორისათვის ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გეგმავს საინვესტიციო მონაცემების ბაზის შექმნას, სადაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებებთან და წინადადებებთან ერთად განთავსებული იქნება კერძო სექტორის საინვესტიციო წინადადებები. ამასთან აუცილებლობას წარმოადგენს მცირე საწარმო-საოფისე ფართებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

6.6 მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო: მიუხედავად გარკვეული პროცედურების გამარტივებისა, ბიზნესის წარმომადგენლები და მეწარმეები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ მათი ბიზნეს საქმიანობის განვითარებას შეუსაბამო წესები, რეგულაციები და ადმინისტრაციული ბარიერები უშლის ხელს. მათთან გასაუბრებით გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა, რომელთა მოგვარების და გადაჭრის გზები ადგილობრივ დონეზე არაა შესაძლებელი. დღეის მდგომარეობით არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამბროლაურის სოფლებში მოქმედ ბიზნესს მოუგვარებდა წყლის პრობლემას. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მხოლოდ მოსახლეობა უზრუნველყოს წყლით, ბიზნესის წარმომადგენლებს კი ამ პრობლემის მოგვარება უზარმაზარი თანხა უჯდებათ, ან საერთოდ ვერ აგვარებენ. უნებართვოდ წყლით სარგებლობის შემთხვევაში კი შესაძლოა საერთოდ გარემოს დაცვის მიერ დიდი თანხითაც დაჯარიმდეს. საქართველოს კანონის ,,საქართველოს საჰაერო კოდექსი" 41-ე მუხლის საფუძველზე, იმ მუნიციპალიტეტებში სადაც აეროპორტია,

დამატებითი ნებართვებია საჭირო ,,აეროპორტების გაერთიანებიდან" დამწყები, ან მოქმედი ბიზნესისათვის მშენებლობის მიღების ნებართვის კუთხით, ბიზნესმენები უჩივიან იმ შეზღუდვებს, რასაც ზემოაღნიშნული კანონი უწესებს ზღვის დონიდან გარკვეულ სიმაღლეზე დაგეგმილ მშენებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლიდან მუნიციპალიტეტში დაინერგა მმს (მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა)-ით ნებართვების გაცემა, რამაც უფრო ეფექტური გახადა მომსახურება, მაინც პრობლემაა მშენებლობის ნებარვის გაცემის პროცედურებსა და ვადებში, რომელიც რიგ შემთხვევაში იწელება უწყებებს შორის კოორდინაციის ან შესაბამისი კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობის გამო. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ეფექტური საკომუნიკაციო არხების შექმნა, რომელიც მეწარმეს გაუმარტივებს მშენებლობის ნებართვის მოპოვებას.

კიდევ ერთ გამოწვევაა სახელმწიფო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის აღების გართულებული პროცედურა. გამარტივებული პროცედურები მნიშვნელოვნად წაადგებოდა მუნიციპალიტეტს, როგორც მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების, ასევე მდინარის კალაპოტის გასუფთავების მხრივ.

ისევე, როგორც სხვა ბევრ მუნიციპალიტეტში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტშიც ამჟამად არ არის შემუშავებული მცირე და საშუალო ბიზნესის, ტურიზმის განვითარების პროგრამები და სტრატეგიები. ასევე, შესამუშავებელი და დასამტკიცებელია მარკეტინგული სტრატეგია და სტარტაპერების ხელშემწყობი პროგრამები. ბიზნესის წინაშე მდგომი მნიშვნელოვანი ადმისტრაციული პრობლემები იხილეთ დანართი ,,დ" ცხრილი N8-ში.

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა: რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებთან შედარებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასაქმების დონის მაჩვენებელი უკეთესია. აქტიური მოსახლეობის დიდ ნაწილს თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, რომელთა შემოსავალიც არასტაბილურია და სეზონური ხასიათი აქვს. თუმცა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტიც ისევე, როგორც სხვა მრავალი მუნიციპალიტეტი განიცდის კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, რაც შესაბამისად აისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. კადრების ნაკლებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე სამუშაო ადგილები და დაბალ ანაზღაურებადი სამსახურები. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ მოძებნოს მისთვის სასურველი სამუშაო, რაც მიგრაციის მაჩვენებლებშიც კარგად ჩანს.

აღნიშნული მდგომარეობა ადგილობრივი ხელისუფლების გამოწვევაა და აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეძებს გზებს სამუშაო ადგილების მაძიებელთა დასახმარებლად, რაც შესაბამისად მომავალში დადებითად აისახება მოსახლეობის მიგრაციაზე მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პირობებში მოთხოვნა მომსახურე კვალიფიციურ პერსონალზე დიდია. მოთხოვნადია: მზარეულები, ფინანსისტები, იურისტები, მშენებელ-ინჟინრები, სანტექნიკოსები, აგრონომები, ავტო-ტექ მომსახურების სპეციალისტები, უცხო ენების მცოდნე გიდები და სხვა კადრები. ფაქტობრივად მოთხოვნაა კვალიფიციურ კადრებზე თითქმის ყველა სექტორში, თუმცა იმის გამო, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე დაბალია შრომის ანაზღაურება (ბოლო მონაცემებით დაქირავებულთა შრომის ანაზღაურების საშუალო ოდენობა შეადგენს 495 ლარს) მუნიციპალიტეტიდან გადინებულია მრავალი შრომისუნარიანი და კვალიფიციური

კადრი. ახალგაზრდობის უმეტესობას, რომელიც კვალიფიციურ განათლებას იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაბრუნების სურვილი აღარ აქვთ. ადგილზე არ არის ტრენინგების პროვაიდერი ორგანიზაციებიც.

დასაქმების მაძიებლები ძირითადად რეგისტრირდებიან სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაზე არსებულ ელექტრონულ სისტემაში www.worknet.gov.ge. სადაც, მუნიციპალიტეტიდან დარეგისტრირებულია 2061 პირი, მათი სამუშაო ადგილით დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით და ინტერნეტის მეშვეობით იძიებენ ვაკანსიებს. ამ ფონზე შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრაციულ ვებგვერდზე გამოიყოს სივრცე და შეიქმნას პლატფორმა დასაქმების მაძიებლების და დამსაქმებლებისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება უფასოდ ინფორმაციის განთავსება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასაქმების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ. ასევე საჭიროა მუნიციპალიტეტში შეიქმნას ისეთი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიზნესისა და პროფესიული გადამზადების ცენტრის სინქრონულ თანამშრომლობას. ამბროლაურში ფუნქციონირებს კოლეჯი „ერქვანი", სადაც ამჟამად სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარეობს სწავლება. ესენია: 1. ელექტროობა; 2. ბუღალტრული აღრიცხვა; 3. საინფორმაციო ტექნოლოგიის მხარდაჭერა. აღნიშნული კოლეჯი მომავალში გეგმავს დაამატოს სხვა მოკლევადიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა სსიპ დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, რომელსაც მუნიციპალიტეტში ეყოლება 1 წარმომადგენელი - კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი. სააგენტო მოახდენს უმუშევართა აღრიცხვას და მათთვის შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძიებას, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია დასაქმების კუთხით.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი: ამბროლაური თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებით, კლიმატური პირობებით, ეთნოკულტურით და ტრადიციებით საცხოვრებლად, სამუშაოდ, მოგზაურობისა და ინვესტიციებისთვის სასურველი და განსაკუთრებული მუნიციპალიტეტია, რის გამოც ის პერსპექტიულ კუთხედ ითვლება ტურისტებისთვის. მუნიციპალიტეტი, როგორც რეგიონის ცენტრი, ატარებს ტურისტული ნაკადების გამანაწილებლის ფუნქციას.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარებული კველევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ამბროლაურს მიიჩნევს მეღვინეობა-მევენახეობისა და ტურიზმის რეგიონად. მუნიციპალიტეტს კონკრეტული უპირატესობა გააჩნია მევენახეობის უნიკალური მიკროზონების და ადგილწარმოშობის ღვინის და საღვინე ბრენდის წარმოების ფაქტორზე. ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით დიდი ოდენობის ინვესტიციები განხორციელდა კერძო სექტორის მხრიდან, როგორც ვენახების გაშენების, ისე ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოების კუთხით. მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს ,,ღვინის გზის" პროექტის ფარგლებში ადგილობრივი მარნების პოპულარიზაციის მიმართულებით.

ამბროლაურის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას ხელს უწყობს ა(ა)იპ ,,ტურისტული ცენტრის" არსებობა, რომლის მიზანიცაა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

ამბროლაურში ყოველწლიურად ტარდება სახალხო დღესასწაული ,,ფუძეობა", რომლის მიზანია რეგიონის განვითარება, ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის აღდგენა,

შენარჩუნება და პოპულარიზაცია. ფესტივალს უამრავი ქართველი და უცხოელი ტურისტი ესწრება, რაც ასევე მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას ემსახურება.
იზრდება დაინტერესება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიმართ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მხრიდან, რამაც გამოიწვია საოჯახო სასტუმროების გაფართოვება, კერძო სასტუმროების და რესტორნების მშენებლობის დაწყება, მცირე-საოჯახო და მსხვილი მარნების მოწყობა და სხვ.
ამბროლაურის მუნიციპალიტეტს სხვადასხვა დროიდან აქვს კავშირები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის, კულტურული და მეგობრული მემორანდუმების სახით: 1. ლიეტუვა: ამბროლაური-ვილნიუსი, ამბროლაური-ლაზდიაი-2014 წლიდან; 2. სლოვაკეთი: ამბროლაური-რაჩა-1968 წლიდან; 3. შვედეთი: ამბროლაური-ვერმლანდი-2000 წლიდან; 4. იტალია: ამბროლაური-მაგრელიო - 2011 წლიდან; ეს ყველაფერი დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ცნობადობაზე.
მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში. კერძო სექტორთან ერთად შემუშავებულია მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა, ბუკლეტები და ვიდეორგოლები.

7. SWOT ანალიზი

ცხრილი 1. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ღვინის მასალების გადამამუშავებელი საწარმოების არსებობა და ღვინის წარმოების დიდი გამოცდილება; • წყლის რესურსების მაღალი საწარმოო, ენერგეტიკული და რეკრეაციული პოტენციალი; • სოჭის გირჩის მოპოვების მაღალი პოტენციალი; • მუნიციპალიტეტში ბანკების ფილიალების, კონსალტინგური და აუდიტორული ფირმების არსებობა; • ისტორიულ-კულტურული ძეგლების მრავალფეროვნება, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის, სათევზაო და სამონადირეო ბაზის არსებობა; • მუნიციპალიტეტის სიმდიდრე ტყის რესურსებით და ტყის რესურსების ბიომრავალფეროვნება, სამკურნალო მცენარეების მდიდარი რესურსების არსებობა; • შაორის წყალსაცავის არსებობა; • სხვადასხვა სახის წიაღისეული რესურსების არსებობა; • სამთო-მომპოვებელი მრეწველობის გამოცდილება. • სათიბ-საძოვრების რესურსი და პოტენციალი; • ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო და	• სუსტად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; • ტურიზმის განვითარების არასისტემური მიდგომა; • პერიფერიული მდებარეობა და გასაღების ბაზრებთან სიშორე; • სუსტი კომერციული ინფრასტრუქტურა; • ვაჭრობის სეზონური ხასიათი; • ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურისა და სერვისების ნაკლებობა; • მარკეტინგული სტრატეგიისა და სტარტაპერების ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამების არარსებობა; • ძვირი საბანკო კრედიტები და კაპიტალის ალტერნატიული წყაროების არარსებობა; • შრომითი რესურსების პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე; • მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება; • ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული თავისებურებების სუსტი კომერციალიზაცია;

ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გამოცდილება; • ვაზის უნიკალური ჯიშების არსებობა, ღვინო „ხვანჭკარას“ საერთაშორისო ცნობადობა; • ქ.ამბროლაურში აეროპორტის არსებობა; • შრომითი რესურსების გადამამზადებელი ცენტრის არსებობა; • მაღალმთიანი დასახლების სტატუსი • ბუნებრივი აირის მაგისტრალის არსებობა; • მობილური კავშირგაბმულობის და სატელეკომუნიკაციო სისტემების არსებობა და ინტერნეტქსელის ხელმისაწვდომობა;	• ინოვაციების განვითარების უკიდურესად დაბალი დონე, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ინტენსივობა, მოწინავე ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა; • ვაზის მეჩხერიანობა და გადაბერებული ვენახები; • სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ფერმერული გაერთიანებების სიმცირე; • მოქმედი ბიზნეს სუბიექტების უკიდურესად მცირე რაოდენობა; • მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი; • მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე გარემოს დაცვის შესახებ; • თევზჭერის, ნადირობისა და მცენარეების შეგროვების ბრაკონიერული პრაქტიკა; • ადგილობრივი გზების რთული რელიეფი და დაბალი გამტარუნარიანობა; • ბუნებრივი რესურსების არასრული შესწავლა და ძიება-მოპოვების მაღალი ხარჯები;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• შრომითი რესურსების პროფესიული დონის ამაღლების სახელმწიფო პროგრამების გავრცელება მუნიციპალიტეტზე; • ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება მუნიციპალიტეტში; • გაზიფიცირების ქსელის გაფართოება ოპერატორისა და სახელმწიფოს მიერ; • მცირე ჰესების მშენებლობისთვის ხელსაყრელი პირობების არსებობა ქვეყანაში; • საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა; • ეკოტურიზმზე მოთხოვნის ზრდა მსოფლიოში; • ინვესტორების მზარდი ინტერესი ტყის და წყლის რესურსების და წიაღისეულის მიმართ; • სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების საშუალებით დაფინანსების გაზრდა მუნიციპალიტეტის ფერმერების, კოოპერატივების, სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების, გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებისთვის; • რაჭული ლორის პოპულარიზაცია და მუნიციპალიტეტის ბრენდინგისთვის ინიციატივების შემუშავება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ; • ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდის	• ტყის ხანძრები და ტყის მავნებლების გავრცელება; • COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული უარყოფითი გავლენა ტურისტთა რაოდენობასადა ინვესტიციებზე; ეპიზოოტიებისა და მცენარეთა დაავადებების გავრცელება; • მიგრაციული და მოსახლების ასაკობრივი სტრუქტურის არასასურველი თანაფარდობის ზრდა რეგიონში; • სატყეო ფონდის შემცირება და გარემოს დეგრადაცია.

ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის არსებობა;	

ამბროლაური მაღალმთიანი სტატუსის მატარებელი მუნიციპალიტეტია, სარგებლობს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათებით. მუნიციპალიტეტისთვის ტრადიციული და განვითარებული ეკონომიკური საქმიანობის ფორმები, მისთვის უკვე საიმიჯოდ გამხდარი მევენახეობის მიკრო-ზონების არსებობა, ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, განვითარებული ტურისტული პროდუქტები ქმნის ეკონომიკური ზრდის წინაპირობას თუ წარმატებით იქნება დაძლეული ის გამოწვევები და სუსტი მხარეები, რაც დღეს მუნიციპალიტეტის წინაშე დგას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის, თითოეული თემატური ბლოკისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით შემუშავდა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ფართო საზოგადოების მიერ არის გაზიარებული.

8. ხედვა და მიზნები

მუნიციპალიტეტის ხედვა - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი იქნება უნიკალური ტრადიციული მეღვინეობით განთქმული ევროპული სტილის მუნიციპალიტეტი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის **მიზნებია**:

მიზანი N1. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა.

მიზანი N2. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

მიზანი N3.ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

9. სამოქმედო გეგმა

წინამდებარე სამოქმედო გეგმა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებით. გეგმა ორიენტირებულია კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობაზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე. სამოქმედო გეგმაში გაწერილი ქმედებების განხორციელებაზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი პირია მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

ცხრილი 2. სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	ძირითადიმიზნები	ქმედებები/პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/ დამთავრება)	მონაწილეპარტნიორები	სავარაუდოღირებულება (ეროვნულ ვალუტაში & ევროს ექვივალენტი)	მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები და მიზნები	საბოლოო შედეგი შედეგები / ინდიკატორები და მიზნები
მიწა და ინფრასტრუქტურა	1.ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა	1.1. ადგილობრივ პროდუქციაზე წვდომის უზურნველყოფა	10/2020-02/2022	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია	150 000 ლარი 43 500 ევრო	მოქმედებს 1 აგრარული ბაზარი;	ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვები გაზრდილია
		1.2. ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრის პოზიციის შექმნა	03/2020-02/2022	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია	19 200 ლარი 5 130 ევრო	60 ბიზნესის წარმომადგენელს მიეწოდა ინფორმაციასახელმწიფო პროგრამებისა და გრანტების შესახებ	ბიზნესის წარმომადგენლებს უადვილდებათ მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა
მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო;	2.სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	2.1.ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქტის წარმოება	06/2020 - 08/2022	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის	40 000 ლარი 11 700 ევრო	80 -მდე ფერმერი მონაწილეობს შერჩეულ ფესტივალებში, გამოფენა-ბაზრობებში/ფესტივალებში და გამოფენა-ბაზრობებში	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა; ადგილობრივი წარმოების პროდუქციის შესახებ ინფორმირებულია ფართო მასები; მომატებულია ტურისტული

				განვითარების ასოციაცია		მონაწილეთა რაოდენობა/ბიზნესის წარმოების ხელშეწყობა	ნაკადი/ფესტივალებსა და გამოფენა-ბაზრობებში მონაწილე მსურველთა ოდენობა; საცნობარო სარეკლამომასალების გაზრდილი რაოდენობა; ვიზიტორთა ზრდის დადებითი დინამიკა;
		2.2.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	09/2020–09/2022	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია	5000 ლარი 1450 ევრო	აღწერილია სასოფლო-სამეურნეო მიწები; ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო მიწების "შესახებ განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;	გაზრდილია წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ ინფორმაციაზე; გაზრდიოლია სასდოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების დონე;
გარე პოზიციონირება და მერკეტინგი; უნარების და ადამიანური კაპიტალის	3. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	3.1. ტურისტული მარშრუტის მომზადება	07/2020-08/2022	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია, ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი	12 000 ლარი 3500 ევრო	მომზადებულია ინფორმაცია 3 ტურისტული მარშურტის შესახებ;	გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა ტურისტულ მარშუტებზე არსებულ ტურისტულ ინფრსასტრუქტურაზე;
		3.2. საინფორმაციო ტურების ჩატარება	06/2020-09/2022	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი;	5 000 ლარი 1450 ევრო	მოწყობილია 1 ინფოტური; ინფოტურის 5 მონაწილე	გაზრდილია ცნობადობა მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების შესახებ;

განვითარება		3.3. ტრენინგების ჩატარება ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები სათვის	09/2020-08/2022	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი; სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“	3 000 ლარი 870 ევრო	ჩატარებულია 3 ტრენინგი; გადამზადებულია ტურიზმის სფეროს წარმომადგენელი 5 ქალი, 2 შშმ პირი, 5 მამაკაცი.	ტრეინინგის მონაწილეები დასაქმდნენ; გაზრდილია სამუშაოს მაძიებელთა ცნობიერება / ცნობიერება ამაღლებულ პირთა ოდენობა და მათგან დასასაქმებულ პირთა ოდენობა; გაზრდილი სამუშაოს მაძიებელთა ტრეინინგზე დასწრების მსურველთა რიცხვი / დასაქმების ხელშეწყობა
		3.4. ქალაქის იერსახის გაუმჯობესება	31.05.2020-31.10.2020	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია;	117506 ლარი 34 079 ევრო	რეაბილიტირებული ქალაქში არსებული 2 სკვერი	გაუმჯობესებულია ქალაქის იერსახე მაცხოვრებლებისა და ვიზიტორებისათვის

10. დაფინანსების სქემა

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში გაწერილი ქმედებების საორიენტაციო ბიუჯეტია 351 506 ლარი (102000 ევრო). სამოქმედო გეგმის ქმედებებისთვის 229 000 ლარი (66 470 ევრო) დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, 92 506 ლარი (26 830 ევრო) დაიხარჯება მაღალი დონის ბიუჯეტიდან. დონორების დაფინანსება შეადგენს30 000 ლარს (8 700 ევრო). გეგმის ბიუჯეტის 48% პირველი მიზნის მიღწევაზე დაიხარჯება, 13% სოფლის მეურნების განვითარების მხარდაჭერაზე და 39% ტურიზმის განვითარების მხარდაჭერაზე.

ცხრილი 3. დაფინანსების სქემა

ღონისძიებები	საორიენტაციო	დაფინანსებისწყარო	წყვეტადაფინანს	შენიშვნები

	ღირებულება	ადგილობრივიბ იუჯეტი	მაღალიდონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები	ებაში	
1.1.ადგილობრივ პროდუქციაზე წვდომის უზრუნველყოფა	150 000 ლარი 43 500 ევრო	112 500 ლარი 32 700 ევრო					
1.2. ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრის პოზიციის შექმნა	19 200 ლარი 5 130 ევრო	19 200 ლარი 5 130 ევრო					
2.1. ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქტის წარმოება	40 000 ლარი 11 700 ევრო	10 000 ლარი 2 900 ევრო			30 000 ლარი 8 700 ევრო		
2.2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	5 000 ლარი 1 450 ევრო	5 000 ლარი 1 450 ევრო					
3.1. ტურისტული მარშრუტის მომზადება	12 000 ლარი 3 500 ევრო	12 000 ლარი 3 500 ევრო					
3.2. საინფორმაციო ტურების ჩატარება	5 000 ლარი 1 450 ევრო	5 000 ლარი 1 450 ევრო					
3.3. ტრენინგების ჩატარება ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის	3 000 ლარი 870 ევრო	3 000 ლარი 870 ევრო					
3.4. ქალაქის იერსახის გაუმჯობესება	117 506 ლარი 34 080 ევრო	25 000 ლარი 7 250 ევრო	92 506 ლარი 26 830 ევრო				
ჯამი	**351 506 ლარი 102 000 ევრო**	**229 000ლარი 66 470 ევრო**	**92 506 ლარი 26 830 ევრო**		**30 000 ლარი 8 700 ევრო**		

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეიქმნება შიდა მონიტორინგის კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მოცემული ქმედებების შესრულებას აღნიშნულ ვადებში. კომიტეტში დაცული იქნება გენდერული, საჯარო და კერძო სექტორების მონაწილეობის ბალანსი.

ცხრილი 4. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ქმედება	დაწყება-დასრულება	მოსალოდნელიშედეგები 1-6 თვე	მოსალოდნელიშედეგები 6-12 თვე	მოსალოდნელიშედეგები 12-18 თვე	მოსალოდნელიშედეგები 18-24 თვე
1.1.ადგილობრივ პროდუქციაზე წვდომის უზრუნველყოფა	10/2020-02/2022		მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია, ბაზრის რეაბილიტაციისთვის დაფინანსება მოძიებულია	რეაბილიტირებულია 1 აგრარული ბაზარი	აგრარული ბაზრით მოსარგებლე მოვაჭრეთა რაოდენობა
1.2. ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრის პოზიციის შექმნა	03/2020-02/2022	ბიზნესის 15 წარმომადგენელს უადვილდება მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა	ბიზნესის 15 წარმომადგენელს უადვილდებამუნიციპალიტეტთან ურთიერთობა	ბიზნესის 15 წარმომადგენელს უადვილდება მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა	ბიზნესის 15 წარმომადგენელს უადვილდება მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა
2.1. ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქტის წარმოება	06/2020 - 08/2022	შერჩეულია გამოფენაში მონაწილე 27 მცირე საოჯახო ტიპის მარანი, 53 ფერმერი და შემდგარია მონაწილეთა ჯგუფები	შერჩეული ჯგუფები მონაწილეობენ აღნიშნულ გამოფენაზე, მოხდება წარმოდგენილი მარნების და ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტის პოპულარიზაცია და რეალიზაცია	შერჩეულია გამოფენაში მონაწილე 27 მცირე საოჯახო ტიპის მარანი, 53 ფერმერი და შემდგარია მონაწილეთა ჯგუფები	შერჩეული ჯგუფები მონაწილეობენ აღნიშნულ გამოფენაზე, მოხდება წარმოდგენილი მარნების და ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტის პოპულარიზაცია და რეალიზაცია
2.2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	09/2020–09/2022		გამოვლინდა და აღიწერა ქონება; მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია	გამოვლინდა და აღიწერა ქონება; მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია	მოხდა აღწერილი ქონების მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადმოტანა; მომზადდა საიჯარო დოკუმენტაცია
3.1. ტურისტული მარშრუტის მომზადება	07/2020-08/2022		ტურისტული მარშრუტისათვის შეირჩა ადგილმდებარეობდა და	დაიწყო სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 3 ტურისტულ	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მოხდა ბილიკის მარკირება; განთავსდა

			მომზადდა ტერიტორია სამუშაოებისათვის; მოხდა ტექნიკისა და მუშა ხელის მობილიზება; გამოცხადდა ტენდერი	მარშრუტზე; სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო 3 ტურისტული ბილიკი	სხვადასხვა საინფორმაციო მაჩვენებლები და ნიშნები; საზეიმოდ გაიხსნა ტურისტული ბილიკი და მიღებულია პირველი ვიზიტორები
3.2. საინფორმაციო ტურების ჩატარება	06/2020-09/2022	დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები საინფორმაციო ტურის ჩასატარებლად	განხორციელდა საორგანიზაციო სამუშაოები; დაიგეგმა ინფო-ტურის ჩატარების ადგილი და თარიღი; მოწვეულ ტურისტულ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარდა საინფორმაციო ტური	დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები საინფორმაციო ტურის ჩასატარებლად	განხორციელდა საორგანიზაციო სამუშაოები; დაიგეგმა ინფო-ტურის ჩატარების ადგილი და თარიღი; მოწვეულ ტურისტულ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარდა საინფორმაციო ტური
3.3. ტრენინგების ჩატარება ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის	09/2020-08/2022		შერჩეულია სატრეინინგო თემები და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია 1 სამუშაო შეხვედრა, გადამზადებულია 5 მონაწილე	შერჩეულია სატრეინინგო თემები და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია 2 სამუშაო შეხვედრა, გადამზადებულია 7მონაწილე	შერჩეულია სატრეინინგო თემები და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, გადამზადებულია 12 10 მონაწილე
3.4.ქალაქის იერსახის გაუმჯობესება	3105.2020-31.10.2020	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულია სამუშაოების შემსრულებელი	კეთილმოწყობილია ქ. ამბროლაურში მდებარე 2 სკვერი		
მთელიბიუჯეტისდახარჯული % (საორიენტაციო)		55%	15%	15%	15%